ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 217

27 ივლისი
"___"_____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობის/შეზღუდვის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 127^2 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ქ. თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობების/შეზღუდვების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის №18.527.840 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 19 მარტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-106-9-4779 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული აუქციონის განსაკუთრებული პირობის შეზღუდვა - „ენერგო ობიექტის განთავსება".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**